



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 80
28/12/2018

80-06-4-201812281542



ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან სუბსიდიის გაცემის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი სამგზავრო სატრანსპორტო მოძრაობის დამტკიცებული მარშრუტების ნაწილობრივ დაფინანსებისათვის ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობისათვის გამოყოფილია 60 ათასი ლარი, რომლის განკარგვის მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვის მარშრუტებზე გასაცემი დიზელისა და ბენზინის საწვავის ოდენობა განისაზღვროს (დანართი #1) შესაბამისად.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან დიზელისა და ბენზინის საწვავის ამ განკარგულებით 1-ლი მუხლით გათვალისწინებული რაოდენობით შესყიდვის მიზნით სუბსიდია მიეცეს შპს „საჭე ცაგერს“.
3. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ბატონი მ. ლეთოდანი) 2019 წლის ბიუჯეტის ტრანსპორტის ხელშეწყობის შესაბამისი მუხლიდან ანგარიშსწორება მოახდინოს შპს „საჭე ცაგერის“ დირექტორის მიერ წარმოდგენილი „ანგარიშ-ფაქტურების“ შესაბამისად.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

